საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/218 „ 25 „ ივნისი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციისა და ბავშვზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა ტრენინგების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 29 მაისის №1/162 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების მიზნით, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ მე-9 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

ა) იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთათვის უზრუნველყოს ტრენინგების ჩატარება:

ა.ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომუნიკაციის სტანდარტების და სასამართლო პროცესზე ინფორმაციის მარტივად და გასაგებად მიწოდების თაობაზე;

ა.ბ) ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით სასამართლოში გარემოს გაუმჯობესების თაობაზე კონცეფციის საფუძველზე, ბავშვზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფის შესახებ;

ბ) საერთო სასამართლოებმა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი